სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

28 ნოემბერი 2023

N 660/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

შპს ,,ეიჩ ჯი კაპრა კაუკასიკა''-ზე (ს/კ 405352363) სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზიის გაცემის შესახებ“ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2022 წლის 23 მარტის N38/ს ბრძანების საფუძველზე გაცემული სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზიის (№000019) ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-3, მე-4 და მე-5 ნაწილების, 61-ე მუხლის პირველი ნაწილის, მე-2 ნაწილის ,,გ“ და ,,ე” ქვეპუნქტების, 96-ე მუხლის, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-22 მუხლის მე-4^1 პუნქტის, მე-7 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და მე-11 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს N132 დადგენილებით დამტკიცებული ,,ტყით სარგებლობის ლიცენზიების გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების“ 8^1 მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 19 აპრილის N2-255 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - გარემოს ეროვნული სააგენტოს დებულების“ მე-3 მუხლის „ვ“ და „მ“ ქვეპუნქტებისა და სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის 2023 წლის 13 ნოემბრის DES 2 23 00084050 მომართვის, ასევე ამ ბრძანებაზე თანდართული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დასაბუთების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს შპს ,,ეიჩ ჯი კაპრა კაუკასიკა''-ზე (ს/კ 405352363) სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზიის გაცემის შესახებ“ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2022 წლის 23 მარტის N38/ს ბრძანება თანდართული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დასაბუთების საფუძველზე (დანართი: ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დასაბუთება).

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს შპს ,,ეიჩ ჯი კაპრა კაუკასიკა''-ზე (ს/კ 405352363) სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზიის გაცემის შესახებ“ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2022 წლის 23 მარტის N38/ს ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2022 წლის 16 სექტემბრის N335/ს ბრძანება.

3. გაუქმდეს შპს ,,ეიჩ ჯი კაპრა კაუკასიკა''-ზე (ს/კ 405352363) გაცემული სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზია (№000019).

4. ბრძანება კანონით დადგენილი წესით გაეგზავნოს დაინტერესებულ მხარეს.

5. ბრძანება ძალაში შევიდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი №64) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ვასილ გედევანიშვილი

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო